AMBASSADORI

საქართველო, ქალაქი ბათუმი, სულიკო ჟღენტის ქუჩა, N6, ს.კ. 445601126/
infoislandbatumi@ambassadori.com

№ გ/14

26/05/2023წ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

ჯაცნობებთ, რომ შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდ" (ს/კ 445601126) ქ. ბათუმში, ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ჩრდილო აღმოსავლეთით, თამარ მეფის ქუჩის და რკინიგზის სადგურის მიმდებარე საზღვაო აკვატორიაში გეგმავს ხელოვნური კუნძულის მოწყობის პროექტის განხორციელებას. პროექტი ითვალისწინებს ორი ხელოვნური ნახევარკუნძული და ერთი ხელოვნური კუნძულის მოწყობას, რისთვისაც გამოყენებული იქნება საზღვაო აკვატორია საერთო ფართობით 108.5032 ჰა.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მეორე დანართის 9.13 პუნქტის მიხედვით დაგეგმილი საქმიანობა მიეკუთვნება სკრინინგის პროცედურას დაქვემდებარებულ საქმიანობას, მაგრამ შესასრულებელი სამუშაოების სპეციფიკის და მოცულობების გათვალისწინებით, კოდექსის მე-7 მუხლის მე-13 ნაწილის შესაბამისად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარდგენილი იქნას სკოპინგის განაცხადი (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე).

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ ქ. ბათუმში, ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ჩრდილო აღმოსავლეთით, თამარ მეფის ქუჩის და რკინიგზის სადგურის მიმდებარე საზღვაო აკვატორიაში დაგეგმილი ხელოვნური კუნძულის მოწყობის პროექტის სკოპინგის ანგარიშს.

გარემოს ეროვნული სააგენტო
„29" 05 2023
№ 4778

წერილს თან ერთვის:

- ქ. ბათუმში, ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ჩრდილო აღმოსავლეთით, თამარ მეფის ქუჩის და რკინიგზის სადგურის მიმდებარე საზღვაო აკვატორიაში დაგეგმილი ხელოვნური კუნძულის მოწყობის პროექტის სკოპინგის ანგარიში -ერთი ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- სკოპინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია და დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის გეოგრაფიული კოორდინატები SHP ფაილების სახით;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდ"-ის რეგისტრაციის შესახებ.

პატივისცემით,

ირინა ფაილოძე

შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდ"-ის დირექტორი